



**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება N117**

21 მაისი 2019 წ.

ქ. რუსთავი

**„ქალაქი რუსთავის ტერიტორიული გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 25 ივნისის N226 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

„ქალაქი რუსთავის ტერიტორიული გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 25 ივნისის N226 დადგენილებით ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 27.06.2014წ., 330090020.35.160.016209) დამტკიცებულ დანართში - „კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკა“ შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით (თან ერთვის საინფორმაციო მასალა).

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ლევანი ონიანი